



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №23/20

2019 წლის 27 მარტი

ქ. თბილისი

სს „სვანეთი ჰიდროზე“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“) 2019 წლის 27 მარტის საჯარო სხდომაზე განიხილა საკითხი - სს „სვანეთი ჰიდროზე“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ.

სს „სვანეთი ჰიდროზე“ (მის. საქართველო, მესტიის მუნიციპალიტეტი, საიდენტიფიკაციო კოდი: 405021275) კომისიაში წარმოადგინა განცხადება და მოითხოვა მასზე ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემა. განცხადებას თან ერთვოდა: განმცხადებლის სადამფუძნებლო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო/საჯარო რეესტრიდან; მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 22 თებერვლის №81 ბრძანება დაბა მესტიის ადმინისტრაციულ ერთეულში 30 მგვტ სიმძლავრის „მესტიაჭალა ჰესი 2“ -ის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ; საქართველოს მთავრობას, შპს „ენერგოტრანსს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“, სს „საქრუსენერგოსა“ და სს „სვანეთი ჰიდროს“ შორის 2014 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული მემორანდუმი; სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გაცემული „ელექტრულ ქსელში ჩართვის ტექნიკური პირობა“; შპს „იუაი საქართველოს“ მიერ გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სს „სვანეთი ჰიდროს“ საკუთრებაში არსებული „მესტიაჭალა ჰესი 2“ -ის ტერიტორიაზე განთავსებული ძირითადი საშუალებების და მათი ღირებულების შესახებ და ჰესის ცალხაზოვანი ელექტრული სქემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, სს „სვანეთი ჰიდროს“ სახელზე ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კომისიის 2019 წლის 7 მარტის № 17/12 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ გამოქვეყნდა კომისიის ვებგვერდზე. ამავე გადაწყვეტილებით, მოთხოვნილი ლიცენზიასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2019 წლის 27 მარტი, თუმცა, ამ პერიოდში შენიშვნები ან მოსაზრებები კომისიაში წარმოდგენილი არ ყოფილა.

შეისწავლა რა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კომისია მიიჩნევს, რომ სს „სვანეთი ჰიდროს“ მოთხოვნა ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის გაცემის თაობაზე საფუძვლიანია, წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს და, შესაბამისად, სს „სვანეთი ჰიდროს“ სახელზე უნდა გაიცეს მოთხოვნილი ლიცენზია.


„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, 24-ე და 31-ე მუხლების, აგრეთვე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

1. გაიცეს სს „სვანეთი ჰიდროს“ სახელზე ლიცენზია № 092 (სერიით 11), მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 30 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურ „მესტიაჭალა ჰესი 2“-ით ელექტროენერგიის წარმოებაზე.
2. დამტკიცდეს ელექტროენერგიის წარმოების № 092 ლიცენზიის (სერიით 11) „ტექნიკური მონაცემები“ („დანართი 1“) და სალიცენზიო პირობები („დანართი 2“).
3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 6), მისი ოფიციალურად გაცნობიდან (მხარისათვის გადაცემიდან) ერთი თვის ვადაში.
5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტს (ნ. ბერიძე).


ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე



გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი



გოჩა შონია

კომისიის წევრი



დავით ნარმანია

კომისიის წევრი

